საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №46
2015 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 43-ე მუხლისა და 49^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 8.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სს „ენერგო–პრო ჯორჯიას" მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი	-	6,927	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	-	2,175	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	-	1,652	თეთრი/კვტსთ;".

2. დადგენილების 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

ა)	220/380 ვოლტი	-	6,927	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	-	2,175	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	-	1,652	თეთრი/კვტსთ;.".

3. დადგენილების 11^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11^1 . სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) – 16,776 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი – 12,024 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი – 11,501 თეთრი/კვტსთ.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით – 10,978 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით – 14,348 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი – 18,178 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — **ირინა მილორავა**

კომისიის წევრი — **გოჩა შონია**

კომისიის წევრი — **გიორგი ფანგანი**